თითოეული ნომერი ჟურნალისა ყველგან 10 კ.




№ 23.—1914 ფასი 10 კ. კვირა, 10 აგვისტო.



მოქალაქენი, ნახატი გ. გაბაშვილისა

№ 23

## შინაარსი:


1. სეზონის მოლოდინში, მეთაური . . . 1
2. ჩვენი გზა, შალვა დადიანისა . . . 1
3. განთიადისას, ს. ერთაწმინდელისა . . . 2
4. რას უქადის ხელოვნებას მომავალი ალ. წერეთლისა . . . 3
5. ნანა, დავ. კილდისანიძისა . . . 4
6. გ. ქუჩიშვილი, ვას. კოტეტაშვილისა . . . 5
7. ცოცხალი თევზი, იოსებ იმედაშვილისა . . . 6
8. მგოსნის სიყვარული, დ. თურდოსპირელისა . . . 7
9. საგულისხმო საყვედური, ს. დ—ნისა . . . 7
10. ქართველ მწერალთა წერილები, სოფ. მგალობლიშვილისა . . . 9
11. დედინაცვალი, ტრ. რამიშვილისა . . . 12
12. მომღერალ გუნდთა მოგზაურობა ქართლში, ნიკო გურულისა . . . 15
13. წვრილი ამბები . . . 16
14. სურათები, განცხადებანი



**თბილისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს,** რომ მას განზრახული აქვს თეატრთან მოაწყოს სპეციალისტების ხელმძღვანელობით

**სამეცადინო პრაქტიკული სტუდია**

ამიტომ იგი იწვევს ქალთა და ვაჟთა, რომელთაც ქართულ სცენაზე მუშაობის სურვილი აქვსთ, ჩაეწერნენ ამ თავითვე გამგეობის კონტორაში. ჩაწერის ვადა დანიშნულია განცხადების დღიდან პირველ სექტემბრამდე. **სწავლა უფასო იქნება.** პირობების გაგება შეიძლება კონტორაში დღისით 1—3 საათამდე. წერილობითი განცხადება მისამართის ჩვენებით წარმოდგენილ უნდა იქმნეს დრ. საზ. კანტორაში.

# შექსპირი ქართულად!

## გამოცემა *ივანე მაჩაბლის* თარგმანებისა.

მიიღება ხელისმოწერა ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნ **შექსპირის** რვა ტრაგედიის გამოცემაზედ: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი, იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე.)—გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელისმოწერა განაწილებულია სამს ვადად: **პირველი შემოსატანი**—1 მან., მეორე—**პირველ ნოემბერს**—1 მან. და მესამე—1 მან. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელისმოწერა მიიღება **თბილისში:** ქართვ. შორის წერა-კითხვის საზოგადოების გამავრცელებელ მაღაზიაში, და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩა, 52) და ქუთაისში მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში.

გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.**




№ 23

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქარ. დრ. საზ. კანტორაში და „სორაპან"-ს სტამბაში. მისამართი: Тифлисъ, Грузинскій Театръ, ред. „Театри да Цховреба" Іос. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება ქართ. თეატრის კანტორაში—დილით 9—2 ს., სალამოთი 6—8 ს., ტელეფონი რედაქციისა № 7-95, სტამბისა — 15-41.

№ 23 კვირა 10 აგვისტო 1914 წ.

## 10 აგვისტო

**სეზონის მოლოდინში.** ყოველ ჩვენგანს სიკვდილი ყურს უკან უდგასო, ამბობს ანდაზა,—მაგრამ სასიცოცხლო მოქმედებასა და ხვალის იმედზე ხელს არ ვიღებთ. იმას რომ უყუროთ, ხვალ რა იქნებაო, ცხოვრებას ჩამოვრჩებით და ერთს ადგილზე გავიყინებით: დაე, **ხვალე** რაც უნდა მოგველ-დეს, **დღეს** მაინც ის გავაკეთოთ რაც სახვალიოდ საჭიროდ მიგვაჩნია.

დღეს არა, ხვალ ზამთრის სეზონის ფარდა აიხდება. თბილისს, ქუთაისს, ბაქოსა და ქიათურაში უკვე დასებია შემდგარი და, ცხადია, ავად თუ კარგად, წარმოდგენები გაიმართება, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელზედაც მუდამ ბევრს ვლაპარაკობთ, საქმით კი ხელს არ ვანძრევთ.

მოგეხსენებათ, თეატრის სული და გული, სეზონის გვირგვინი, რეპერტუარია — დრო-ჟამის შესაფერი პიესები, იდეიური და მაღალ მხატვრულ-ხელოვნური,—აი რას უნდა მიექცეს ახლავე ყურადღება, რომ შუა სეზონში არ მოგვიხდეს წარმოსადგენ პიესის ძებნა და პიესის უქონლობის გამო ისევ გაქელილი პიესით გამასპინძლება

აქვე უნდა აღვნიშნოთ, ერთი მუდმივი და მთავარი ნაკლი ჩვენებურ ზოგიერთ პიესისა: ენის უსუფთაობა ამ საგნის შესახებ სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობაზედაც იყო ლაპარაკი, და სიტყვა იგი რომ არ დარჩეს ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა, ამ თავითვე უნდა განხილულ იქმნეს წარმოსადგენად არჩეული პიესები და შესწორდეს საგანგებოდ მოწვეულ ენის მცოდნეთაგან. პიესის შინაგანი, სულიერი სისაღე, გარეგანი სისრულე და წარმოდგენის მხატვრულად მოწყობა,—აი რაზე გვმართებს დღეს სახვალიოდ ზრუნვა...

## ჩვენი გზა

ძნელია დღეს ხელოვნების საკითხებზე ლაპარაკი.

ზარბაზნის გრიალი მუდამ დაფარავს ქნარის წკრიალსა.

ყუმბარა და ნაღმი ყოველთვის დაანგრევს იმას, რაც კაცის ნაზ ფიქრსა და კეთილშობილურ სულთა სწრაფვას შეუქმნია.

მაგრამ, მაინც ვერ მოჰკლავს იმ ჰაეროვან აპოლონს, სილამაზისა და ხელოვნების ღმერთს, რომელიც ესეთ „აღრევის ჟამს" ადამიანთა წმინდა გრძნობის მაღალ ულუმბოზე იმყოფება და ნაღვლიანი და ცრემლმორეული დასცქერის ჩვენს გამხეცებას.

ვერავითარი ძლევა-მოსილი მხედრობა ვერ დაუმსხვრევს იმას ჩანგსა, რომელიც ამ ჟამად ლოცვისებურ ღმობიერსა და ამამაღლებელს ჰანგს გამოსცემს, რომ კაცთა ნათესავი კვლავ გახდეს ღირსი ადამიანის მაღალი სახელის ტარებისა.

და ესეც იქმნება:

კვლავ მოიქცევა ადამის მოდგმა, შეწყდება ხმლის ჩხარა-ჩხური, ზარბაზნებიც დადუმდებიან.

კვლავ ქნარის საგალობლები თამამად და დაუბრკოლებლივ ათრთოლდება მთელ დედამიწის ზურგზე, ჩასწვდება ყველას გულს და ჩვენს მშვენიერ კუთხესაც ასწავლის, რომ სისხლის ღვრაში არ არის ბედნიერება;

რომ მხოლოდ ბუნების ძალთა-ძალი და ადამიანის შრომაა ამამაღლებელი;

რომ ესეთი მშვენება და სილამაზეა ჩვენი „მაცხოვარი".

მანამდის კი ხელოვნება თითქო ფერ-

მკრთალია, ეტყობა, რომ კაცობრიობა ჯერ კიდევ მის გარე დგას. და თუ მის ტაძარში ყოფილა ოდესმე, უფრო „მოსაჩვენებლად“. მას ჯერ კიდევ ვერ შეუყვარებია იგი სრული სიყვარულით, ვერ განუსპეტაკებია იმდენად სული.

ხედავთ მთელი ტყეა ევროპის ჯართა ხიშტებისა, უზარ-მაზარი თუჯისა და ფოლადის სალცარი, გამანადგურებელი იარაღები საზარო მუსიკასა ქმნიან ეხლა მართლაც „ევროპიულ კონცერტისას“.

მოსალოდნელია უარესი.

ჯერ მხოლოდ დასაწყისია .. საშინელი ამბებისა...

მაშასადამე ერთის მხრით თითქო სასაცილოა დღეს ხელოვნების ხსენება, მაგრამ მაინც მოვალს ჟამი, როდესაც „უბრალო კალმის წვერი“ააშენებს იმას, რაც ზარბაზნებმა დაანგრია, და ჩანგურის სიმები დაგვავიწყებს ყუმბარათა ქუხილს.

მშვენიერება გვიხსნის საბოლოოდ.

და განა ასე არ მოხდა ამ 1914 წლის წინეთაც.

ქრისტიანობა უბრალო ჯვარით ხელში მოვიდა... და დაიპყრო ზარბაზნებიანი ქვეყნები.

და განა თვით ქრისტე მშვენიერება არ იყო?!.

მაშ თუ ბრძოლაა, ვიბრძოლოთ ამ მშვენიერების მოსაახლოვებლად და ამ სხვაგვარ ომის ყიჟინაში ნუ მოვშლით ხელოვნებაზე ფიქრსა და საუბარს.

დეე ჩვენმა ქნარმა... იკვნესოს.

# განთიადისას

(მინიატიურა)

ღამით ვიდოდით უძნელეს გზაზე ალთქმის ქვეყნისკენ. შეუპოვრად გადავლახეთ გულ-ზვავი მდინარენი, ხრიოკი ხევნი, გარდუვალი მთანი...

თუმცა დიდი ხანი იყო გზად ვიდექით, შეუსვენებლივ მივისწრაფოდით და ბევრი ტანჯვა-ვაე²ა გამოვიარეთ, მაინც არა ვდრკებოდით.

ცა მრისხანებდა, სჭექდა და ჰქუხდა, ირგვლივ მიდამოს თავ-ზარს ატეხდა; შავად დაბურულ ცისა ეთერში ცეცხლის ენები იკლაკნებოდნენ, მზე-ბნელი ქვეყნის ნათალხ ველმინდვრებს გულის გამგმირად ექსოვებოდნენ.

ქარი ქშუოდა, რისხვით ღმუოდა. ჰხევდა და შორს სტყორცნიდა ქულას უკუნეთისას. ელავდა სამყარო, ღელავდა ზღვა და აზვირთებულ ტალღებს ესვროდა მზღუდავ კლდეს, აცლიდა ნაპრალებს, ჰლამობდა გადალახვასა გზა-კვალ აბნეულნი ელვის შუქზე სწორ ბილიკებს ვეძებდით.

ვერ შევძლეთ დაკეცვა უსაზღვროობის. ერთი უდიდესი მთა-ღა გვქონდა გადასავლელი და... სამშვიდობოს შევაფარებდით თავს.

ჟამსა განთიადისას, ოდესაც ავრორამ—წინამორბედმა სინათლისამ—თავისი ვარდისფერი თითებით აჰხადა ბედ-კრულ ქვეყანას შავი ზეწარი, მხოლოდ მაშინ შესწყდა მრისხანება ბუნების ძალთა და მინელდა ჩვენზე ნასროლი გამნადგურებელი წვიმა.

უკვე გადავვლეთ ნახევარი მთა და ვუახლოვდებოდით მწვერვალს. მსოფლიოს დედა — მზე ამობრწყინდა აღმოსავლეთში და მაშვრალ მოგზაურთ თუმცა სასიხარულოდ შემოგვცინა, მაგრამ იმ სიხარულში ქმუნვარება იხატებოდა, რომელიც იყო ნაგოდები იერემიასებრ მოგზაურთ ზედა,—რადგანაც წინადვე ჰგრძნობდა რაც მოგველოდა "ვიდრე მივაღწევდით სამიჯნო ყორღანს. ჩვენ ყურთ არ ვიღეთ მისი მწუხარება და ვაშას ძახილით ხოტბა ვუგალობეთ მფარველ მხარეს, რომელიც უკვე მოსჩანდა შორს.

ნაადრევი გამოდგა ჩვენი სალამი, ურთიერთისადმი მიძღვნილი:

ლეგა ღრუბლები წამოეპარნენ სხივ-მფენ ტურფას და თალხი მერდინი გადააფარეს...

სიბნელე მარად!

შავმა ყორანმა გადაგვიარა თავს საზარ კივილით.

ეს მოხდა განთიადისას...

**ს. ერთაწმინდელი**

ქ. ბაიაზეთი (ოსმალეთი)

# რას უქადის ხელოვნებას მომავალი

(იხ. „თ. და ც." № 22)

ტენის აზრით, ზოგიერთი ხელოვნება უკვე დღეს სდგას გადაგვარების გზაზე, რადგან მომავალი იმედს არ იძლევა, რომ მისი განვითარებისათვის საჭირო პირობები შემდეგშიაც იქმნებიან. ამ მხრივ განსაკუთრებით ქანდაკების ბედს სწყვეტენ წინასწარ. რენანი ამბობს: „სამეფო ქანდაკებისა დასრულდა იმ დღეს, როდესაც ადამიანთ თავი დაანებეს შიშვლად სიარულს, ეპოპეია მოისპობა პიროვნულ გმირობასთან ერთად; არტილერიის არსებობის დროს შეუძლებელია იარსებოს ეპოპეიამო... ამგვარად თითოეული ხელოვნება, გარდა მუსიკისა, წარსულ დროის განსაზღვრულ ეპოქასთანაა დაკავშირებული; თვით მუსიკაც კი, რომელიც მე-19-ე საუკუნის ხელოვნებად შეგვიძლია აღვიაროთ, ერთ მშვენიერ დღეს იმღერებს უკანასკნელ საგალობელს და მოისპობა". ასეთი აზრის საწინააღმდეგოდ პირველად ყოვლისა შეგვიძლია ვსთქვათ, რომ რომელიმე ხელოვნების ამა თუ იმ გვარის მოსპობა, სრულიადაც არ ნიშნავს საერთოდ ამ ხელოვნების მოსპობას; მაგალითად, მოისპო ეპოპეია, სამაგიეროდ წარმოიშვა რომანი და სხვა.

გარდა ამისა განსაკუთრებით შემცდარნი არიან თავის მსჯელობაში ისინი, ვისაც მეცნიერების ძლევამოსილი მსვლელობა მიაჩნიათ ხელოვნების შემაფერხებლად. მართალია დღეს ვერვინ შექმნის მილოსის ვენერას, ვერც პრაქსიტელის ჰერმესს, რადგან მათში გადმოცემულია ხასიათის ის წონასწორობა და ოლიმპიური მყუდროება, რომელიც დამახასიათებელი იყო ძველი დროისა, ხოლო ჩვენი მშფოთვარე დროისათვის კი თითქმის სრულიად უცნობი, მაგრამ ჩვენი საუკუნის მძიმე ფიქრები და მწვავე ეჭვები კიდეც პოულობენ თავის გამოხატულებას მარმარილოს ცივ ნაკვთებზე. საკმარისია ამ მხრივ მოვიგონოთ თანამედროვე განთქმულ მოქანდაკეთა მონიე და როდენის შემოქმედება. ამასთანავე არც პრაქსიტელს შეეძლო, შეექმნა მიქელ ანჯელოს „ღამე", ან „ავრორა". და უდიდესნი მხატვარნი, როგორნიც ოდესმე სცოდნია კაცობრიობას, ლეონარდო და-ვინჩი და მიქელ ანჯელო თავისი დროის თვალსაჩინო მეცნიერნი იყვნენ; მიქელ ანჯელო მგოსანი იყო, რომელიც ცივსა და უგრძნობ ქვაზე კვეთავდა თავის დროის სულისკვეთებას.

რაც შეეხება მხატვრობას, იგი განვითარების ძლიერ პროცესს განიცდის და არა გადაგვარებას. სინათლის სხვადასხვა ნაკვთები, ფერადების სხვადასხვა სხივოსნობა, საერთოდ იდუმალი ენა მხატვრის სალებავისა, მისი შემოქმედების უნაზესი ალღო უადრეს განვითარების გზას ადგია. ხოლო მუსიკა, ეს ბარომეტრი ადამიანის სულის ვითარებისა, უნაზეს ხმებში გამომთქმელი ადამიანის სულის, როგორც ზეადტეინების, ისე სასოწარკვეთისა, ყოველთვის შეესაბამება განსაზღვრულ დროის ადამიანის გონებრივ და ზნეობრივ მდგომარეობას: შოპენმა, შუმანმა და ბერლიოზმა თავის მუსიკალურ ქმნილებებში ძვირფასად გამოსთქვეს თანამედროვე ადამიანთა გრძნობა-მისწრაფებანი. სპენსერის აზრით, მუსიკა განვითარებაა მახვილისა, რომელსაც იწვევს ხმა ვნების ზედ-გავლენით. და მუსიკალური მელოდია, თანახმად ადამიანის მახვილთა ცვლილებისა, სხვადასხვა ელფერს მიიღებს იმის და მიხედვით, თუ რა გრძნობა ბატონობს ჩვენს გულში. შემცდარია არსებითად ის აზრი, ვითომც შესაძლებელი იყოს მუსიკალურ ტონთა კომბინაციის ამოლევა, ვინაიდან რითმისა და მოძრაობის შეოხებით მელოდიამ უსაზღვრობამდის შეიძლება განიცადოს ცვლილება. დაუშრეტელი წყაროა აგრეთვე მუსიკისათვის ჰარმონია. რასაკვირველია მუსიკაში სპეციალისტი არ გახლავარ, მაგრამ ვაქცევ რა უმთავრეს ყურადღებას მის ისტორიულ განვითარებას, თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ მუსიკაც ევოლუციის ხანას განიცდის და არა გადაგვარებისას.

შტრაუსის აზრით, პოეზია მუსიკასთან ერთად მომავალი დროის სარწმუნოებად შეიქმნება; რენანს კი ყოველივე რწმენა დაკარგვია პოეზიის ხანგრძლივობისა: მოისპო ბერძენთა პოეზია, ამბობს იგი, მოისპო ეპოპეია და ტრაგედია, მეცნიერებამ წამლისა, ზარბაზნებისა და თოფების მოგონებით მოგვტაცა მომავალი ჰომიროსები და ვირგილიები.



გიგო გელიკურაშვილი

დამსახურებული სცენის მოყვარე, 30 წელიწადზე მეტია რაც ქართულ სახალხო სასოფლო და სცენებზე მუშაკობს. 1903 წ. გადაუხადეს 20 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე.

---

მაგრამ ნუ თუ დღეს აღარა ჰყავს კაცობრიობას უდიდესნი მწერალნი და პოეტნი?! მართალია, ეპოქეა ლირიკულ პოეზიით შეიცვალა, მაგრამ განა ეს პოეზიის მოსპობას მოასწავებს? პირიქით პოეზია უკვდავია და უკვდავია, ვით თვით კაცობრიობა. რასაკვირველია, არის შემთხვევები, როდესაც ისპობა ტრადიცია, სწყდება ცოცხალი ძაფები განვითარებისა, მაგრამ პოეზიის უკვდავი შემოქმედებანი, თითქმის მოსპობის შემდეგაც, სცოცხლობენ მათ სულში, ვისაც უადრესი სიამოვნება განაცდევინეს და სცოცხლობენ მარადის იმ ძლიერ გავლენაში, რომელნიც იქონიეს კერძოდ ხელოვნებასა და საერთოდ კაცობრიობის სულიერ ცხოვრების განვითარებაზე. შეიძლება მოისპოს დედამიწის პირისაგან მთელი ერი, დროთაბრუნვის ტრიალს ჩაბარდეს მისი ლამაზი ისტორია, შესწყდეს მეტყველება წარმტაც და უმშვენიერეს ენაზე მოდგმიდან მოდგმად გადმოცემულ ლექსთა თხრობისა, წარიშალოს თვით ეს ენაც, მტარვალურმა და უხეშმა ძალამ ჩაჰკლას სათავეში ერის სულიერი შემოქმედება, მაგრამ სანამ იარსებებს კაცობრიობა, უკვდავი იქნება სულის ის ესთეტიური მოძრაობა, რომლის პირველი ამმოძრავებელი ხალხის, თუ კერძოდ პოეტის შემოქმედების ძვირფასი ქმნილება იყო. და ამ უზენაეს და უწმინდეს მოთხოვნილებას ვერვინ ჩაჰკლავს ადამიანში.

ხელოვნების დაქვეითების მიზეზად ზოგიერთნი მწერალნი ხალხს, დემოკრატიას სთვლიან. ამაზე შემდეგ წერილში.

ალ. წერეთელი

# ნ ა ნ ა

(ეტიუდი)

ღამის ჩალურჯებული ცა დიდი ხანია დაეშვა თავის ვარსკვლოვან კალთებით ზღვის ქაფით მოკაზმულს გულ-მკერდზე. დღიური ჟრიამული, რომელიც გაისმოდა შორს მის ქვიშიან ნაპირებზე, შეიცვალა იდუმალ, ჟრუანტელის მომგვარ, სიჩუმედ. ახლა მხოლოდ ზღვა-ღა ხმაურობს: იგი მელოდიურად გმინავს და ნაზად ეალერსება თავის მძლავრ ტალღებით ნაპირებს, თითქოს ნანას ეუბნებაო ძილისთვის გამზადებულს მეზობელ დედა-მიწას...

მაგრამ, იქნება, ვერაგული იყოს ზღვის ნანა?!.

ძილისთვის გამზადებულა წიწვიანი ტყეც; მის ეკლიან ტოტებ შუამიმალულან ფრინველნი და ძილში აძლევენ მოსვენებას მოქანცულს ფრთებს. მხოლოდ ჰაწია ნაკადულია ფხიზლად: წკრიალით მოჩუხჩუხებს იგი და უამბობს მიყუჩებულ ტყეს გრძელს ზღაპარს; ამას ბანს ეუბნება ღამის მეხრე ბუ, რომლის უგემური სტვენა დედინაცვლის უჟღერულს ნანასავით გაისმის ტყეში...

რას დასჩხავის წყეული?! სიკვდილს ხომ არ უქადის ტყეს მისი ნანა?!.

ძილისთვის ემზადება გლეხის ოჯახიც ბნელს მიწურში. ეს არის ეხლა წაიბუტბუტა კაცმაც, ქალმაც ერთად-ერთი ადვილად გასაგონი ლოცვა: „ღმერთო, შენ იყავი ქრისტიანის მფარველი“ და მიაბარა თავი ხმელ ლოგინსა... ჩაიძინა ყველამ, აკვნის ბავშვის გარდა, რომელიც საზარლად იჭყვება. აკვნის ღვინქილა ზომიერად ჩხარუნებს, დედა კი აჩუმებს მტირალს და უღიღინებს ნანას...

რად ესაჭიროება გლეხის შვილს ნანა! დაე იტიროს! ეხლავე გამოიტიროს მომავალი ტანჯვა; ვაჟკაცისათვის ხომ უხერხულია ტირილი!..

დავ. კილოსანიძე.

# გ. ქუჩიშვილი

I წიგნი—პოეზია; II წიგნი—პროზა. თბ. 1914 წ. გამოცემა ი. ჩიტოშვილისა. 351 გ. ფ. ორივე წიგნისა 60 კ.

1905 წლის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ შეატორტმანა ჩვენი ცხოვრება, და სცენაზე გამოიყვანა მშრომელი მასსა, მთელი თავისი ფიქრ-ზრახვით, სულის-კვეთებით. მძლედ წამონაქროლმა სოციალ-პოლიტიკურმა ქარიშხალმა ააფორიაქა ცხოვრება და მძინარენი გამოაღვიძა. საყვირის და დაფის მკვეთრმა ხმამ გაიარა ქუჩები, შეიჭრა ბნელ სარდაფებში, გაჰყავა სოფლისკენ ქარშხალის მშფოთარ ტალღებს, და ამ შრომელთ ლეგიონის მიყუჩებული ცხოვრება ძირიანად შეარხია. ადუღდა ცხოვრება. წამოიჭრნენ ცეცხლებრივ მგზნებარე საკითხები, საკითხები სიკვდილ-სიცოცხლისანი, მედიდურნი, და ეროი შეხედვით თითქო თავხედნიც. გაწყდა სალტე, მათი ცხოვრების მბორკავი, და დაგუბებულ ენერგიას მიეცა გზა. მოდის ეს ახალი ხალხი, და ამსხვრევს ძველ კერპებს: „მზე, მზე მომეცითო“—იძახის იგი და მოაქვს ახალი ცხოვრება, ახალი სიტყვა. მძლედ გაისმის ხმა დემოკრატიის მომავლის წინასწარ-მეტყველის **უოლტ უიტმანისა**: „ჩემსკენ ისწრაფე ჰოი, დემოკრატიაო!“ და ჰპირდება ახალ ცხოვრებას, უხატავს წარმტაც სურათს. იმედი აქვს ხალხის აქამდინ დაგუბებულ ენერგიისა. დღეს კი ეს პოტენციალი უკვე გადადის მმოძრავ მდგომარეობაში, და მიდის წინ რისხვით მოსილი. გუშინდელი „ნაძირალი“, დღეს ცხოვრების ზედაპირზე ამოცურებულა, და პირველობის შტოს მოითხოვს. იჭრება ყველგან და იმზადებს ტრიბუნას.





ხელოვნების სამეუფოშიაც შეიჭრა მძლე ძახილი დაბეჩავებულისა, და ამ უკანასკნელმა იქაც მოიპოვა ადგილი. ი. ევდოშვილი, ეს მამამთავარი დემოკრატიული პოეზიისა, ია ეკალაძე, ვ. რუხაძე, ბ. ახოსპირელი კ. მაყაშვილი და სხ... შეიქნენ მათი აზრის გამომხატველნი, და შეჰქმნეს პოეზია დაბეჩავებულთა, პოეზია ჩაგრულთა. ეს საზოგადოდ. ხოლო ქუჩამ, თავის ზედ-მეტი უმწეობით დაუდეგარმა ქუჩამ, მაინც საკუთარი სიტყვის თქმა მოისურვა, სხვებზე მეტად დაიარავებულმა გულმა დაიკვნესა, და თავისივე შვილის პირით აკვნესდა, ამეტყველდა. ქუჩამ შობა შვილი, რომელსაც დღეს ქუჩიშვილი ეწოდება. ქუჩამ ხმა ამოიღო, ქუჩა ამეტყველდა, და ეს—ქუჩიშვილის პოეზია-პროზაში გამოითქვა. ქუჩა ჰკვნესის, და ამა კვნესას გ. ქუჩიშვილი გვაგებინებს; ქუჩა სტირის და ცრემლი გ. ქუჩიშვილის თვალებში ელვარებს; ქუჩა მღერის, და ეს ჰანგი გ. ქუჩიშვილის პოეზიაში ინასკვება. ყველგან და ყოველთვის ქუჩიშვილი ქუჩასთან განუყრელია. იგი მას უტრიალებს, მას ეტრფის, მას ეალერსება. მის ყოველ კუნჭულში იხედება იგი, ჰა, არავინ დამრჩეს დაუტირალიო, და ესე ჰქმნის ქუჩის პოეზიას. „ბრმა მემუსიკე“, „საცოდავი,“ „მეეტლეთა ცხოვრება“, „გადასახლებულის დღიური“, „მეძავი“, „მათხოვარი“, ,,ქუჩის მომღერალი‘‘, ,,ქუჩის ბავშვი‘‘, ,,ქუჩის ნანინა‘‘: ,,ქუჩის მელოდია‘‘,—აი სათაურები მისი ლექსებისა, თემები მისი შემოქმედებისა. და მათ გარეშე გ. ქუჩიშვილის წარმოდგენა შეუძლებელია. უქუჩოდ ქუჩიშვილის პოეზია მოისპობა. აქ მას იგივე სიტყვები შეუძლიან გაიმეოროს, რომელსაც დიკკენსი სწერდა თავის მეგობარს —ფოსტერს: ...,,არ შემიძლიან გადმოქცეთ, თუ როგორ არიან საჭირონი ჩემთვის ქუჩა და ხალხი. მე მგონია, რომ ისინი ჰკვებავენ ჩემს ტვინს, რომლის დაუკმაყოფილებლობაც ჩემთვის აუტანელი შეიქმნებოდა...

წერა ამ ჯადოსნურ ფარნის უსაშუალებოდ, მტანჯველი და აუტანელიაო.“

დიაღ, ქუჩიშვილი მხოლოდ ქუჩაში უნდა იყოს, რომ ქუჩის შვილებს ადევნოს თვალ-ყური, ქუჩაში მივიდეს სახელოსნოსთან და ყური უგდოს სევდიან ღიღინს ან მწარე ქვითინს, რომ ქუჩაში იმედიანი სიტყვა გააგონოს ჯავრისგან მოღლილთ. ეს ღღისით. გ. ქუჩიშვილი არც ღამე სტოვებს ქუჩას. ღამითაც, როდესაც „ბნელ ქუჩებში სძინავთ გლახებს, სძინავთ ჩვრებში და ყინვებში ძაგძაგობენ, ქვებზე ჰყრიან და ძილშიც კი ცრემლებს ღვრიან,“ მაშინაც გაისმის ქუჩის ჰანგი ქუჩისშვილისა, თავს ევლება მძინარ გლახებს, და ლამობს მათი ცრემლების მოწმენდას, მაგრამ გ. ქუჩიშვილი ქუჩაში მხოლოდ იმიტომ კი არ გამოსულა, რომ მარტო ქუჩის კვნესა გაგვაგებინოს. არა. იგი, ქუჩის ტრიბუნიც არის, ჰფანტავს ბრძოლის ჰანგებს, პროტესტანტებს თავისკენ უძახის, და ბრძოლის ცეცხლით უვსებს გულს. ამიტომაც არის მისი მუშა, მისი ქუჩის-შვილი ისეთი ძლიერი, ამაყი და ქედ-მოუხრელი. არ გეგონოთ, რომ მისმა მუშამ შებრალება გთხოვოთ. არა.—„გავსწორდეთ ბედოვო,“—აი რას უკივის იგი, ცხოვრების სათავეში მდგარ უსამართლო, ბრმა **ფორტუნას**... და იმედიცა აქვს საკუთარი ძალის. იგი მღერის:

„ჩვენ არ გვიყვარს ოხვრა, კვნესა,
ჩვენ არ გვიყვარს მოთქმა, ცრემლი,
იმედებით ჰფეთქავს გული,
იმედებსვე სჭედავს გრდემლიო.“

და ამის შემდეგ გასაკვირია განა ის სალი ინდივიდუალისტური ხმა, რომელიც მას ამოსკდება?:

„ნუ, ნუ მიბრალებთ, ნუ გგონივართ
მონა-მორჩილი,
მონა საბრალო, ცრემლის მღვრელი.
სუსტი, ულონო!
მე მუშა მქვიან, მუშა ურჩი, ზიზღით აღვსილი,
და მსურს სიტყვა ვსთქვა, გესმით?
სიტყვა საგასაგონოვო“.

ხომ გაიგეთ მძლე სიტყვა მუშისა? ხომ ხედავთ მედიდურ მსვლელობას შრომის შვილთა ლეგიონისას? გესმით, თხოულობენ ახალ ხეს სიკეთისა და ბოროტისას, მზეს ხალისიანს; სურთ ახალ ქურაზე დასწვან ძველი ცხოვრება, და დატოვონ მხოლოდ ღირებულება, რაც კი ამ ძველს გააჩნია, და ისიც ახალ ფორმაში ჩამოასხას. თხოულობენ „ღირებულებათა გადაფასებას,“ ახალ შემოქმედებას. მაშ მოუსმინეთ ქუჩიშვილს. იგი მოხდენილად და გულწრფელად გადმოგცემთ ქუჩის სურვილს, ქუჩის გულის-ნადებს.

ორიოდე სიტყვა გამოცემის შესახებაც. ეტყობა გამომცემელს, ბ-ნ ი. ჩიტოშვილს, არაფერი დაუზოგავს, რომ ლამაზად გამოეცა: ორივე წიგნი დაბეჭდილია ფაქიზად, კარგს ქაღალდზე და, შედარებით, იაფად (60 კ.) ისყიდება. ესეც თავდებია იმისი, რომ ჩვენი ახალგაზდა მწერლის ნაწერები მალე გავრცელდება ხალხში, რის ღირსიც იგი არის.

**ვახტანგ კოტეტიშვილი**

# ცოცხალი თევზი

მეგობარმა ცოცხალი თევზი იყიდა... მეთევზეს თევზი ბუნებით წყალში ჰყავდა, კასრში.

ჩავხედე კასრს: თევზი ლაღად დანავარდობდა, თითქო თავისუფალ მდინარეშია და საფრთხე არ მოელი!ო.

მეგობარმა მსახური მოიხმო, თუნუქის გაწამლულ კასრით წყალსადენის წყალი მოატანინა და ნაყიდი თევზი შიგ მოაქცია.

პირველხანად თევზებმა ახალ ბინაზე ლაღად გაინავარდეს, მაგრამ მალე ზევით-ზევით დაიწყეს სვლა. ცოტა ხნის შემდეგ ერთი მათგანი შეხტა და გარედ გადმოვარდა.

— სად მიჰხტი, შე ოხერო! —შეუტია მეგობარმა: წყალი ხომ შენი სიცოცხლეა და ხმელეთზე რა გინდა?

და უკანვე ჩაუქახა თევზი.

მაგრამ თევზი კვლავ ამოხტა და დანარჩენთაც მოუსვენრობა დაეტყოთ... მეგობარმა თუნუქის კასრს ზევიდა ფიცარი გადააფარა:

— აბა, ახლაც ამოხტიო..

თევზებმა უარესად დაიწყეს ზევით ხტომა. მეგობარმა ფიცარს გირი დაადო და მით დაიმშვიდა გული.

...მოხარშვის დროს ახადა კასრს და გაოცდა: თევზებს გული შეეპრუნებიათ, პირი დაეღოთ, მოკვლანჭილიყვენ და მოტივტივეპულიყვნენ: აღარც ერთს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა ..

— სულ დახოცილან!—ელდა-ნაკრავმა წამოიძახა მეგობარმა: რა მიზეზია?!

— მდინარეს შეჩვეულმა ვერ აიტანა ჰაერის დახშვა და მოწამლულ კასრში ნადგამ წყალით ცხოვრება; მოშხამულ სიცოცხლეს-კი სიკვდილი ამჯობინა!—მიუგო ცხოვრების მცოდნემ.

— ნეტავი შენ, მარად პირწყალ ჩამდგარო სულიერო, რომ მდურვის გამოსაჩენად სიკვდილი მაინც შეგიძლიან, როდესაც თავისუფლებას გიხუთავენ!.. ჩვენ, ადამიანები, მაგასაც მოკლებული ვართ!.. წარმოსთქვა მეგობარმა.

**იოსებ იმედაშვილი**

# მგოსნის სიყვარული

მგოსანმა თვისი ცხოვრების გარიჟრაჟისას თვალი მოჰკრა თუ არა **მას**, თავდავიწყებით შეიყვარა

შეიყვარა ისე, როგორც შეუძლიან შეყვარება მხოლოდ მგოსანს.

იგი აჩრდილსავით განუყრელად სდევდა **მას** თანა.

ია-სუმბულით უფენდა გზასა, ისე ფრთხილად კი, რომ არ შეემჩნია.

ყოველ ღამით, როდესაც **იგი** მიიძინებდა, მგოსანი ბულბულივით მისს სარკმელთან ჩასაფრდებოდა და უგალობდა წარმტაცს ლექსებს...

მას ჰსურდა მღვიძარესთვის გაემჟღავნებინა თვისა ხვაშიადი, მღვიძარესთვისაც ეგალობნა თვისი ჰიმნი, მაგრამ ვერ ახერხებდა .. იდუმალი რამ ძალა პირს უკინავდა წარმოსათქმელს სიტყვას.

რამდენი, რამდენი ია აყვავებულა მისი ცრემლებით, რამდენ იადონს შეუსწავლია მისგან სიმღერების ახალ-ახალი მუხლები..

**ის** კი ვერ მიმხვდარიყო, ვერ შეემჩნია თვისი აშიკი...

მგოსანი აჩრდილსავით უჩუმრად და ეთერსავით უხილავად სდევდა თან და უგალობდა მაშინ, როდესაც მზიური სიზმარი დაუხუჭავდა მითიურად ლამაზს თვალებს...

ერთხელ, როდესაც მოიღალა სარკმელთან გალობით, იქვე ყვავილნარში გულ-ალმა მიწვა და თვალი შეავლო ალმასის ვარსკვლავებით მოჭედილს ცასა.

მისმა სახემ გაოცება გამოჰხატა... ცა ისე შორს არ მოსჩანდა, როგორც წინეთ, ვარსკვლავნი არაჩვეულებრივის შუქოსნობით სციმციმებდნენ...

შემოესმა ისეთი ნაზი გალობა, თითქოს სუმბულთა სიცილი აეწკრიალებინოთ ეთერის სათუთს ქნარზე...

იგი ათრთოლდა ნაკადის ჭავლში აალმასებულ მთვარის სხივივით, თვალნი კვლავ სარკმელს მიაპყრო და სასოებით წაიჩურჩულა:

— სულისდგმაო, სულისდგმაო, სულისდგმაო, მე მიყვარხარ შენ! . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . მე მიყვარხარ შენ!
. . . . . . . . . . . . . . . .

**მას** კვლავ ეძინა...

ეძინა ტკბილად...

ეძინა ისე, ვითარც სძინავთ მთების ფიქრებს სპეტაკს ნისლებზე...

პასუხი მხოლოდ შუქურამ ჩამოჰკისკისა:
— დიაღ, დიაღ, შენ გიყვარს შენი ზღაპარი
. . . . . . . . . . . . . . . .

**დ. თურდოსპირელი**

# საგულისხმო საყვედური

რამდენადაც შესაძლებელია დავუჯეროთ ამ უკანასკნელ დროის ცნობებს, სერბიას საყვედური გამოუცხადებია თავის თანამოძმე და მონათესავე ბულგარიისათვის: თითქოს გიხარია ჩვენი დღევანდელი გასაჭირიო. ბულგარელებს თავის მხრით უპასუხნიათ: თქვენც აგრეთვე იქცეოდით, როდესაც გუშინ ჩვენ გვედგა გასაჭირიო. საყურადღებო საყვედური და პასუხია.

თითქმის მთელი ქვეყნიერება ჩათრია ამ საბედისწერო ომიანობამ და ისტორიულმა ნემეზიდამ ორ მოწინააღმდეგე ბანაკად დაჰყო ჩვენში თანამედროვე კულტურული კაცობრიობა.

დიდი ხანია გერმანია ძალას იკრებდა და დაჟინებით ემზადებოდა ამ ისტორიულ დღისთვის, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს, ვის ეკუთნოდეს ჰეგემონია ევროპაში, კონტინენტზე.

ამ უკანასკნელ დროს, ფაქტიურად თითქოს ეს ჰეგემონია გერმანიას ეკუთნოდა, რამდენადაც იგი დღითიდღე ერთად-ერთი მბრძანებელი ხდებოდა ევროპის ბაზარზე და ახლა მან თავი მომზადებულად იგრძნო ეს უპირატესობა ხმლით და თოფით განამტკიცოს.

გერმანიის გაერთიანება, გერმანიის მოდგმის ხალხის ერთად შეკავშირება ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებში აღიარეს აუცილებელ მიზნად გერმანელთა გამოცდილმა პირებ'ა და პატრიოტებმა.

მაგრამ მეორე მხრით, სლავიანთა მოდგმის ერთა საოცნებო საგანს შეადგენდა აგრეთვე დიდი ხნიდან ასეთივე გაერთიანება და ერთ ძლიერ ოჯახში შეჯგუფება და ამ იდეის თავგამოდებული და გულწრფელი მოამაგე რუსეთი, რომელ-

# ომია-



**მათი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე**, რუსეთის ჯარების უავგუსტოესი მთავარსარდალი.



საფრანგეთის ჯარის მთავარსარდალი **ჟოფრი.**



ინგლისის ფლოტის უფროსი **სერ კონ-ჯელიკო.**

მაც მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში იმდენად გაიმაგრა წელი, რომ მეზობლები აიძულა იგი ევროპის ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ ეცნოთ, იმ დავაწლისათვის, რომელიც მან დასთესა, როდესაც იგი შეება ნაპოლეონს და ევროპა დაიხსნა საფრანგეთის სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმისაგან, რომლის დამყარებასაც ცდილობდა კორსიკანელი გენიოსი ბედის მაძიებელი.

დიდი ბიზანტიის დამხობის შემდეგ ისტორიამ რუსეთს არგუნა „საქრისტიანო ქვეყნის ჯვარისუფლება" და რუსეთიც თავ-გამოდებით ასრულებდა, როგორც მთელი საქრისტიანოს, აგრედვე თავის მონათესავე პატარა ერთა დამცველის როლს.

დღეს, როდესაც გაძლიერებული გერმანია მიისწრაფის პანგერმანიზმის იდეის განხორციელებისაკენ, შეუძლებელი იყო რუსეთსაც არ მოეგონებია პანსლავიზმის იდეა.

გამგე დღევანდელი საქვეყნო შეტაკებისა მაშასადამე ეს ორი ინტერესია, ეს ორი იდეაა და თუ სხვა სახელმწიფონიც ჩაებნენ ორ ბუმბერაზთა შეტაკებაში, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა და სასარგებლოა კერძოდ ამ სახელმწიფოებისათვის. შარშან, როდესაც ბალკანეთის პატარა სახელმწიფონი ამხედრდნენ თავიანთ თავისუფლებისათვის ოსმალთა ბატონობისაგან, ისინი პირველ ხანებში ხმა-შეწყობილად მოქმედებდნენ, მაგრამ უთანხმოებამ მაშინ იჩინა თავი, როდესაც გამარჯვების შედეგის განაწილებას შეუდგნენ. მაშინ ჩაისახა ის უკმაყოფილება, რომელიც ბულგარეთმა დღეს სერბიას დააყვედრა. თუმცა ბალკანეთის საქრისტიანო პატარა სახელმწიფონი ერთი მხრით ნათესაური გრძნობითაც მოქმედებდნენ, მაგრამ მეორე მხრით, არც ის ინდომეს, რომ ამ იდეას ერთიანად შესწიროდა მათი სახელმწიფოებრივი ინტერესები და მოისურვეს თავიანთი სახელმწიფოების საზღვრების გაფართოება. დღესაც, იდეა სლავიანთა გაერთიანებისა იმდენად აკავშირებს სლავიანთა მოდგმის სახელმწიფოებს, რამდენადაც ეს მათ თავისუფალს არსებობასაც განამტკიცებს და მაშასადამე გასაკვირველი არ უნდა იყოს, თუ ამ დიად მომენტში ბულგარეთი თითქოს განზე სდგას. სჩანს, ბულგარეთს იმდენად აფრთოვანებს პანსლავიზმი, რამდენადაც

# ნობა



გერმანიის გენერალურ შტაბის უფროსი **მოლტკე.**



ავსტრიის ჯარების მთავარსარდალი **ჰერც-ჰერცოგი ფრიდრიხი.**



სერბიის ჯარების მთავარსარდალი **იანუშკევიჩი.**

---

ეს მისს არსებობას განამტკიცებს, რამდენს სარგებლობას მოუტანს მას, როგორც დამოუკიდებელს და თავისუფალს სახელმწიფოს.

ერთობ უხეშს და არა სიმპატიურს ძალას წარმოადგენს გერმანია, ერთობ თავხედურათ და უკმეხად იქცევა იგი და იწვევს სამართლიანს გულისწყრომას თითქმის მთელი ქვეყნიერებისას, მაგრამ არც პატარა ერებს დაეძრახებათ, თუ ისინი სიმპატია-ანტიპატიის საზომით კი არ იხელმძღვანელებენ, არამედ თავისი პირადი ინტერესებით. ამიტომაც ბოლოს და ბოლოს, ვინც კი გაჰბედავს და გარემოება ხელს შეუწყობს, სწორედ იქითკენ გადაიხრება, საიდანაც მეტს სარგებლობას გამოელის. ამიტომაც შეარყია და შეაშფოთა თითქმის მთელი ქვეყანა ამ ომმა, რომ ყველა საასიცოცხლო ძალით მოსილი ერი იმის ძიებასა და გამორკვევაშია ვის რას მოუტანს გერმანიის გამარჯვება ან დამარცხება. გერმანიის დამარცხება მილიტარიზმისა, უხეში ძალისა და უკულტურობის დამარცხება იქნებაო, ამბობენ და რუსეთი გამოდის, როგორც ამ ორი წლის წინად, ერთა თავისუფლების დასამყარებლად და კულტურისა და განათლების დამცველად. ამ სლავიანური თვალთახედვით რომლესაც შევხედავ„ საქმეს, ბულგარელები გასაგიცხნი არიან, რომ თავისი თანამოძმე ერის ნდობა არა აქვსთ, მაგრამ ჩანს მათთვის თავისი სახელმწიფოს კონკრეტული სარგებლობა უფრო ახლო არის, ვიდრე იდეა პანსლავიზმისა..

ცხადია იდეა პანგერმანიზმისა შეაერთებს და შეაკავშირებს გერმანელებს მაგრამ აგრედვე ჭსურთ **პანსლავიზმის იდეამ** შეაერთოს ერთსულ და ერთგულ რუსეთის ერთი მოდგმის ერნი, რომ ევროპაში ბატონობდეს სლავიანთა მოდგმის ხალხი და არა ტევტონები.

**ს. და—ნი**

---

# ქართველ მწერალთა წერილები

## ილია ჭავჭავძე

(იხ. „თ. და ც." № 22)

ამ მიწერ-მოწერის შემდეგ მე კვლავ განვაახლე თანამშრომლობა „ივერიაში". როცა პირადად შევხვდი, მაშინ ორთავენი გამოვტყდით, რომ ანტონმა შეგვიყვანა შეცდომაში. ანტონი პირადად ილიასთან ბოლოს და ბოლოს ძალიან განწყობილად იყო. როცა ილიასთან კვირაში ერთხელ ვიყრუბოდით ხოლმე, ანტონი სწორედ ფიანდაზად ეშლებოდა. ილიას ეჩოთირებოდა პირში ქება, არ მოსწონდა და იტყოდა ხოლმე: პირში მაქებელი ეშმაკის მოციქულიაო. იცოდა რა ფასიც ედო ამისთანა ფიანდაზობას, მაგრამ რას იზამდა. ზურგთ უკან კი ანტონი ილიასი

ასე თუ ისე მძაგებელი იყო. არ მოსწონდა მისი ნაწერები, განსაკუთრებით **ენას უწუნებდა**. გორში ხშირად მოგვსვლია ამ ნიადაგზე ცხარე კამათი ანტონთან, როგორც პირადად მე, ისე სხვებსა, მაგ. მიხეილ ყიფიანს, რომელიც გორის საოსტატო სემინარიის ქართულის ენის მასწავლებლად იყო, მათე კერესელიძეს, ნ. ლომოურს. ერთხელ ისე გაგვამწვავა მე და მიშა ყიფიანი, რომ კინაღამ მუშტი-კრივზე მივიდა საქმე. გაჯავრებულმა გადავიკითხე ანტონის პოემები, დავნიშნე ენის ყოველნაირი შეცდომები და მარჯვე დროს, როცა თვით ანტონიც იქ იყო, გავაცანი ჩვენს ვიწრო წრესა. ატყდა ერთი ორომტრიალი და მტკიცება ანტონის, რომ **ჩემი სჯობსო**. მე დარწმუნებული ვარ, რომ ანტონი ბრალეულად გრძნობდა თავსა, მაგრამ ჯიუტი კაცი იყო და რასაც იტყოდა, უნდა უსათუოდ გაეყვანა.

ილია მტკიცედ იცავდა გაზეთის ზნეობრივ სიფაქიზესა, ამიტომ თითქმის ყოველთვის რედაქციის წევრებთან ერთად კითხულობდა, — როგორც ზემოთაც აღვნიშნე, — გაზეთის მასალას, რომ რაიმე უზნეო არა შეჰპარვიყო რა. იგი სიკვდილამდე მტკიცედ ადგა თავის ეროვნულ პროგრამას, თავის სიმბოლო ჭეშმარიტებისას — ქართველ ეროვნების საერთო აღორძინებას, ეკონომიურად გაძლიერება-გამტკიცებას. მას მოასწრო ახალმა მიმართულებამ, რომელმაც მას ბრძოლა გამოუცხადა, „მესამე დასელებმა" ზურგი აქციეს ილიას ეროვნულ პროგრამას, დასელნი ეროვნულ აღორძინებას ჰხედავდნენ მხოლოდ მუშა ხალხის ძალთა აღორძინებაში. გამოცხადდა კლასთა შორის ბრძოლა, რომლის წინააღმდეგი იყო ილიას პროგრამა. იქამდე მივიდა დასელთა უკმაყოფილება ილიასადმი, რომ მას დაუწყეს დევნა და ბრძოლა არა როგორც მათ პოლიტიკურ მოქიშპეს, არამედ როგორც პოეტ-ბელეტრისტსაც, სცდილობდნენ ხალხისათვის შეეძულებინათ იგი, 1900 წ. მისი თხზულებანი, როგორც მახსოვს, ნაძალადევში საჯაროდ დასწვეს. 1901 თუ 1902-ში ავჭალის აუდიტორიაში ერთს საღამოს მუშა ხალხისთვის ბუნდოვანი სურათები უნდა გვეჩვენებინა ილიას პოემიდან „მეფე დიმიტრი თავდადებული". მე მაშინ მარიამ ღემურიასთან ერთად ვმუშაობდი ავჭალის სახალხო აუდიტორიაში. აი გამოვფინეთ ილიას დიდი სურათი, დავამზადეთ ყოველივე მასალა სურათების საჩვენებლად, ლექტორად მოწვეული გვყავდა ცნობილი ბელეტრისტი ნიკო ლომოური, ტკბილად მოლაპარაკე, ენაწყლიანი, მეტყველი მობაასე. აიხადა თუ არა ფარდა და გამოჩნდა ილიას სურათი და მის გვერდით ნიკო ლომოური, ხალხმა იზრიალა დარბაზში: „არ გვინდა, არ გვინდა! ჩამოიღეთ ილიას სურათიო!!". რამდენჯერაც სცადა ლომოურმა ლაპარაკის დაწყება, იმდენჯერ გააჩუმეს. ბოლოს-ბოლოს მარიამ ღემურიას მეცადინეობით, როგორც იყო დავამშვიდეთ ხალხი. დაიწყო ნიკო ლომოურმა სურათების განმარტება, მშვენივრად ენა-მჭევრად გადასცა მსმენელებს შინაარსი პოემისა, ნელ-ნელა მოინადირა ტკბილის ქართულით მსმენელთა გული-გონება და ბოლოს ინციდენტი „ვაშას" ძახილით დაბოლოვდა. ჭეშმარიტად, მართლა უთქვამს რუსთაველსა: „გველსა ხვრელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარიო", გაგესლიანებული გული ხალხისა დაამშვიდა და დააზავა ნიკო ლომოურის ტკბილმა ლაპარაკმა...

ილიას ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა: იგი კაბინეტის კაცი იყო, გასვლა სოფლად და ქალაქად ხალხში არ უყვარდა, არ გადიოდა, რომ ხალხს დაახლოვებოდა ისე, როგორც აკაკი გადიოდა და უახლოვდებოდა, ეცნობოდა ხალხსა.

ილიას თბილისის საზოგადოება იცნობდა, იცნობდა მას ინტელიგენცია ქალაქისა და თავად-აზნაურობა, რომელიც იკრიბებოდა ბანკის კრებებზე და სათავად-აზნაურო ყრილობებზე. თვით ხალხი კი, მასსა, მას არ იცნობდა, სოფლის ხალხს მისთვის აგრე-რიგად თვალი არ დაუკრავს. თუ ხედავდნენ მას მარტო საგურამოში და ხანდისხან წინამძღვრიანთ კარში, თავის საგაზდილო კახეთისაც იშვიათი სტუმარი იყო. დიდებული კაცების გასვლა-გამოსვლას კი ხალხში დიდი მნიშვნელობა აქვს; რასაც ისინი წერით აკეთებენ, ერთი იმდენს, თუ არ მეტსა, ხალხში გასვლით. რომელი კუთხე-კუნჭულის საქართველოში, რომ აკაკი არ ყოფილიყოს, ყველგან მადლიანი სიტყვა უთქვამს, სცენიდან ლექსი და ხალხის გული გაუთბია.

მაგრამ როცა ბანკის კრებები გამწვავდა, ჩამოვარდა შეურიგებელი ბრძოლა ილიასა და ვანო მაჩაბლის შორის, მხოლოდ მაშინ გავიდა ილია დაბა-სოფლად და გაეცნო თავად-აზნაურთა

ოჯახებსა. ამ მოგზაურობის შემდეგ უფრო და უფრო გამწვავდა ილიასა და ვანოს შორის ურთიერთისადმი შური და მტრობა. როგორც ილია, ისე ვანო დამნაშავენი არიან ქართველ ხალხის წინაშე ამ გამწვავებისათვის. ორთავ ძლიერნი, ორთავენი ერთად დედა-ბოძნი იყვნენ როგორც ბანკისათვის, ისე სხვა ქართული საქმეებისათვის, ერთმანეთს არა დაუთმეს რა და გამეორდა ის ამბავი, რომელსაც დავით გურამიშვილი აგვიწერს:

„იფქლი ღვრძლად გადაიქცა,
ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი...
მერე შინათ აიშალნენ,
ძმამ მოუდგა ძმასა ყისტი,
და თავის თავს ხმალი იცეს,..
გულთა მოიხვედრეს სიშტია...

რომ ეს ბრძოლა არ გაჩაღებულიყო, ილია არ გავიდოდა სოფლად, მაგრამ, უნდა კაცმა მართალი სთქვას, **ილიას სოფლად და ქალაქად გასვლა არ იყო აკაკისებური.**

აი რას მწერდნენ ქ. გორიდან ამ ილიას გასვლაზე ქართლად (წერილი ირ. რამიშვილისა ჩემთან ოკდომბრის 26-დამ 1893 წ.)

„დღეს ჩამოვედი სალოლაშნიდამ და წვერიდამ, კვირას აქეთ აქა ვართ. წარმოიდგინე ჩემი ამ ხანებში სხვადასხვა ადგილზე ქეიფი, მაგ. ახალ-გორში, ქვიშხეთში, სალოლაშენში და წვერში. ვისთანაო? იკითხამ. ილია ჭავჭავაძესთან, ლევან ჯანდიერთან, ალექსანდრე ჩოლოყაშვილთან, დავით მიქელაძესთან, ძმათა ყიფშიძეებთან და სხვათა მრავალთათანა „პატრიარხი“ დადის, ჩვენც დიაკვნებივით დავსდევთ. ბარემ აღარ მინდა მათთან წასვლა-მისვლა, რადგან გრძელი სტუმრობა სცოდნიათ, მაგრამ არ მეშვებიან. ამ შაბათ-კვირეს ციციაანთში მივდივართ, გიორგი პოსრედნიკთან“.

აი ამ წერილის ნაწყვეტიდან ცხადად სჩანს, რომ ილია თავის კამპანიით აგიტაციურის მიზნით დაიარებოდა ქართლში ვანო მაჩაბლის წინააღმდეგ. სწორედ მოგახსენოთ, როგორც მე, ისე ბევრ სხვებსაც, არ გვიამა დიდებული პოეტის და მამულიშვილის ამგვარი მოგზაურობა, რომელსაც არავითარიმე კულტურული მნიშვნელობა არ ჰქონდა ქართლისათვის. ამისგამო მე მკვახე წერილი ვუძღვენ ბ ირაკლი რამიშვილსა და გადავკარ, ახლა შენ დიდი კაცი ხარ, დიდებულებთან დაიარები სააგიტაციოთ მეთქი. რასაკვირველია, მე სადილებისა და დახვედრის წინააღმდეგი არ ვიყავ, მაგრამ აზრი მოგზაურობისა მოსაწონი, სიმპატიური არ იყო. როგორც მოსალოდნელი იყო, ირაკლი რამიშვილი ცოტა შეფხუკუნდა და სხვანაირად შეხედა ჩემს წერილს, ვითომ მე მწყინდა, რომ ილიას სადილებით ხვდებოდნენ. აბა რა სათქმელია, მაშ სიმშილით ხომ არ დახოცავდნენ იმოდენა ამალას?

ირ. რამიშვილის წერილსა და ქართლში ილიას მოგზაურობის ამბავს შემდეგ წერილში მოვიყვან.



# დედინაცვალი

(იხ. „თ. და ც.“ № 19—22)

## მესამე მოქმედება

იგივე დეკორაცია. ფარდის ახდისას სცენა ცალიერია.

### I

**მალხაზ უნგიაძე** (შემოდის ჭიშკრიდან გაჯავრებული სახით) და **დედინაცვალი** (იმავედროს გამოდის სახლიდან ხელ-საქმით)

**მალხაზ**. შინ არის?

**დედ.** არა.

**მალ**. ჩქარა მოვა თუ იცი?

**დედ.** არ ვიცი. რა მოგსვლია? რაღაც აღელვებული მეჩვენები.

**მალ.** აღელვებული კი არა, დანა რო დამკრა, სისხლი არ წამოვა.

**დედ.** რა იყო, რა ამბავია?

**მალ** იცი, გამომდგარა ეს დედა-გაგლეჯილი და, თურმე, საჯაროდ მლანძღავს: არ მომწონს მე მალხაზისთანა უსაქმოდ მოხეტიალე კაცებიო და ათასი სხვა რამ. ქოფაკი ძაღლი! ხომ არ უნდა გავპენტო, ა?

**დედ.** ჰოო, მეც რა მეგონა! დამშვიდდი, ნუ ცხარობ. კაი ვაჟ-კაცი ხარ, მაგრამ იმასთან ანგარიშის გასწორება არც ისე ადვილია, შენ რო ჰფიქრობ.

**მალ**. ესეც ახალი ამბავი. დავიჯერო ასე მალე შეგაშინა?

**დედ.** დინჯად, მალხაზ! შენც კარგად იცი, რომ ჩემი შემშინებელი ქვეყანაზე ჯერ კაცი არ დაბადებულა და მიკვირს, ასე უბრალოდ რაზე იხარჯები. ამ უთავ-ბოლო მფოთის ნაცვლად უმჯობესია შენს სალომეს მოუსმინო. მალხაზ! უკვე დადგა ჩვენი დრო.

**მალ.** როგორ, გაუგია რამე თუ?

**დედ.** ისეა ამრეზილი, რომ რაღაც უნდა სწიწკნიძეს უთუოდ. პირში თქმას ვერ მიბედავს, მაგრამ ისე კი აშკარაა, შენი აქ მოსვლა არ იამება. გუშინ გადაჭრით გამომიცხადა, რომ უარი ვსთქვა ჩემ წილ მამულზე და ყველაფერი ობოლს დავუმტკიცო.

**მალ.** ბიჭოს! ეს კი ხუმრობა აღარ არის. ნეტა ვიცოდე, რის იმედით ფახა-ფუხობს ასე? დავიჯერო კიდევ უჭყავა რამე ჯიბეში?

**დედ.** გინდა აწაპნო განა?

**მალ.** მაშ არა და შუბლში ვაკოცებ აი!

**დედ.** სიცილის დრო არაა, მალხაზ. ისეა საქმე, რომ დაყოვნება არ გამოდგება თუ რამე გიღირს ჩემი მიჯნურობა, უნდა კიდეც გასწირო თავი ჩემთვის.

**მალ** რა გინდა?

**დედ.** ხვალ ტყეში მიდის საფიცრე ხის მოსაჭრელად.

**მალ.** მერე რა რო მიდის?

**დედ.** (მკაცრად) განა ვერ მიხვდი, რაც უნდა მეთქვა?

**მალ.** კარგია ერთი მამა გიცხონდა, გარკვევითა სთქვი.

**დედ.** დაედევნები და, როცა იპოვო მოხერხებული დრო, ჩააძაღლე. მერე იქვე გაუთხარე სამარე ისე კი, რომ იმისი კვალი სრულიად გაჰქრეს.

**მალ.** კარგი, მაგრამ რო გაუწყრეს ეშმაკი და, პირიქით, მე მომკლას?

**დედ.** ეს არ მოხდება. შენ უნდა გაიმარჯვო უსიკვდილოდ. ამას მე გიბრძანებ. სად შენი ცეცხლი და სად მისი? თუ მარტო შეხმას ვერა ჰბედავ, გაიყოლე დათიკო მინდაძე.

**მალ.** არა, მაგ საქმეს ვერავის გავანდობ. ეს უნდა მოხდეს უმოწმოდ.

**დედ.** როგორც გენებოს, ხოლო კი მოჰკალი, თორემ იცოდე ეს კაცი, ადრე იქნება თუ გვიან, ბოლოს მოგვიღებს.

**მალ.** მეც ასე მგონია, თუმცა ჯერჯერობით ნაადრევი კია მაგაზე ფიქრი. ჯერ ვეცადოთ როგორმე სხვა გზით მოუაროთ საქმეს. გიორგისავით დავბნიდოთ, დავიმორჩილოთ, მერე კი შიში არაფრისაა. ან თავს მოიკლავს, ან გაიქცევა.

**დედ.** შემომფიცე, ჩემო საყვარელო, რომ იმას, რაც გითხარ, აასრულებ.

**მალ.** ავასრულებ.

**დედ.** (აკოცებს ვნებით ტუჩებში) აი ეხლა კი ისევ ჩემი საყვარელი, ჩემი ქოჩორა მალხაზი ხარ

**მალ.** ერთიც ვნახოთ ის გადარჩა, მაშინ?

**დედ.** ღმერთმა ნუ ქნას. იმისი გადარჩენა — ჩემი სიკვდილი იქნება.

**მალ.** (პაპიროზს გააბოლებს)

**დედ** მართლა, იმ ბიჭისა არა ისმის რა?

**მალ.** არაფერი. კაცმა არ იცის რა მოუვიდა. ვაი თუ რამენაირად გული იბრუნა და გაგვცა?

**დედ** არა მგონია. ა~ბათ დაიღუპა. თუ დევნილებს შეეფეთა — უთუოდ მოჰკლავდნენ. ხომ იცი რა ფიცხი გულისა იყო.

**მალ.** არც არა იმ დედაბრისა ისმის რა.

**დედ.** როგორც მახსოვს იმ ბიჭს ნასაკირალის ტყეში უნდა მოეხდინა ის საქმე, არა?.

**მალ.** ჰო. ბებერ მუხასთან უნდა დასცემოდა და ფრიალო კლდიდან უფსკრულში გადაეგდო ორივე.

**დედ.** ვინ იცის... იქნებ როგორმე ფეხი წაუცდა და ისიც თან გადაიტანეს!..

**მალ.** არ ვიცი. ასეა თუ ისე, ეს საქმე ცოტა არ იყოს, მაფიქრებს. ჰკუა წავაგეთ, სალომე, რომ ის გომბიო შენს გათხოვებამდე არ წავახრჩეთ. იმ ღამეს, რომ ხელი არ შეგეშალა, ეხლა მოსვენებით ვიქნებოდით ყველანი. შენ გეგონა ისედაც ჩამოაღნობდი, მაგრამ ანგარიში შეგეშალა.

**დედ.** ბარემ ეხლა მეცა ვნანობ.

**მალ** როგორ გიწერია ანდერძის წიგნში?

**დედ.** თუ გოგო მოკვდა, იმისი წილიც ჩემზე გადმოდის.

**მალ.** (შემთხვევით ხეივნისაკენ მიიხედავს და შენიშნავს ლამაზ მრგვალ მაგიდას) ოჰო! (მივა ახლოს და სინჯავს) შეხე რა ლამაზი მაგიდა გაუკეთებია!

**დედ.** იცი, ეს მაგიდა გაფშეკილ ეგნატიას უნდა უფეშქაშოს.

**მალ.** მართლა? რაღაც ძალიან დაუძმობილდა.

**დედ.** დამაცადოს მე იმათ დავაძმობილებ. ის-ღა მაკლია, რომ სახლშიც მომაყენოს მოსისხლე მტერი.

**მალ.** თუ თავის ნებაზე მიუშვებ, ეს ასეც იქნება.

## II

იგინივე და **ეთერა.**

**ეთერა.** (მივა დედინაცვალთან და ჩუმად რაღაცას ეუბნება)

**დედ.** ა? ნუ ჩიფჩიფებ, ხმა მაღლა მითხარი!

**ეთერა.** ჩვენებიანთ ივანეს ამაღამ ნათლობა აქვს და მინდა წავიდე

**დედ.** ნეტა რა გემართება. ამ ბოლო დროს რაღაც ხუნტრუცობ. ხომ არა თხოვდები?

**ეთერა.** იჰ, ვთხოვდები კი არა.

**დედ.** კარგი, წადი, ხოლო თუ დილაადრიან არ მოსულხარ, იცოდე აქა აღარ შემოგიშვებ.

**ეთერა.** მოვალ, მა სა ჯანაბაში ვიქნები.

**დედ.** მოიცა, ეთერა!

**ეთერა.** (შედგება)

**დედ.** მომიახლოვდი!

**ეთერა.** (მიუახლოვდება)

**დედ.** ჩემი კაცი ამ დილით თითქოს მალხაზზე გეკითხებოდა რაღაცას.

**ეთერა.** ოი, გეთაყვანე, ნულა მომაგონებ მაინც.

**დედ.** რაო?

**ეთერა.** განა მართლა ამ დილით? მუღამ შინ დაბრუნებისას პირდაპირ ჩემკენ მორბის და ისეთი სახით შემომხედავს, რომ შიშისაგან ტანში ჟრუანტელი მივლის ხოლმე. „ეთერა, სული ნუ წაგიწყდება, სიმართლე მითხარიო, დღეს მალხაზი იყო თუ არაო".

**დედ.** კიდევ?

**ეთერა.** როგორი ერთობა ჰქონდათ ჩემს ცოლს და იმის პირველ ქმარსაო, ან იმ კაცმა თავი რათ მოიკლაო".

**დედ** შენ რა უთხარი?

**ეთერა.** განა არ იცი რას ვეტყოდი?

**მალ** (მიუახლოვდება ეთერას) გამიგონე ეთერა! ამ სოფელში ჩვენი საიდუმლო შენზე კარგად არვინ იცის და თუ იმასთან საიმისო რამ წამოგცდენია, გაჩენის დღეს გაწყევლინებ იცოდე. შენ ხომ იცი მე ვინცა ვარ. დედი ჩემის მზესა ვფიცავ, რომ მოგსპობ და იმ შენ ნათესავებსაც ძირ-ბუდიანად გადავბუგავ.

**ეთერა.** ვუი, ვუი, ვუი! უწინამცდღე გამქრობია...

**დედ.** დაიხსომე, რაც გითხრეს! ეხლა კი წადი და დილამდე იქეიფე.

**მალ.** მაცა! (ამოიღებს საფულეს და ერთ მანეთიანს აძლევს) აჰა, გამომართვი! დუქანში გაიარე და თქვენებიანთ ბალღებს რამე უყიდე.

**ეთერა.** (გამოართმევს) მადლობელი ვარ. (მიდის და მიეფარება)

## III

იგინივე და **ხალამპრე** (შემოდის ჭიშკრიდან. ცალი ჩოხის კალთა მხარზე აქვს გადაგდებული. ხელში პატარა ხურხი უჭირავს. შედგა სადურგლეში. ისევ მალე გამოვა უხერხოდ და მივა იმათთან)

**ხალ.** (მალხაზს ცივად) გამარჯობა!

**მალ.** გაგიმარჯოს. (ხელს ჩამოართმევენ ერთმანეთს)

**ხალ.** (დაჯდება და ოფლს იწმენდს)

**დედ.** იცი, შენი მაგიდა ძალიან მოეწონა მალხაზს.

**მალ.** ჩინებულია, ჩინებული.

**ხალ.** კაი კაცს საჩუქარიც ჩინებული უნდა! (მალხაზს) ეს მაგიდა ამ თქვენი სკოლის მასწავლებელს მინდა ვუფეშქაშო. რას იტყვი?

**მალ.** (მხრებს აიჩეჩს) რა მეთქმის. კაცია და გუნება.

**დედ.** მალხაზს რომ ეთხოვნა, დაიჯერო, უარს ეტყოდი?

**ხალ.** უთუოდ.

**დედ.** რათა, რათა?

**ხალ.** მიტომ, რომ საჩუქარს დამსახურება უნდა.

**დედ** მე რომ დაგიშალო?

**ხალ.** რა უნდა დამიშალო?

**დედ.** აკი გითხარი, ის კაცი ჩემი მოსისხლე მტერია და ჭირისავითა მძულს მეთქი.

**ხალ.** იცი რა, ჩემო სალომე, როცა ეგ-

ნატესთანა კაცები გმტრობენ, აშკარაა შენი საქმე კარგად ვერა ყოფილა.

**დედ.** ხალამპრე, თუ შენ ამ მაგიდას მართლა იმას აჩუქებ, იცოდე მე შენი ცოლი აღარ ვიქნები.

**ხალ.** მაინცა და მაინც გინდა ამაღელვო და არ ვიცი კი ისეთი რა დაგიშავე? ის კაცი მე ისე შემიყვარდა, რომ უსათუოდ მინდა რითიმე ვაამო. მიკვირს, ღმერთმანი, ან თქვენ რათ უნდა გძულდეთ ისეთი ღირსეული ადამიანი? კაცი მასწავლებელია და ხალხში სინათლის შემტანი. პირიქით ყველანი ხელს უნდა ვუწყობდეთ ამისთანა სასარგებლო კაცებს. აი დღეს ან ხვალ აქეთკენ ჩამოივლის ორივე ცოლ-ქმარი. მე მინდა მოულოდნელად გადაველობო წინ, პატარა საუზმეზე შემოვიპატიჟო და შევარიგოთ იმედია, არ შემარცხვენ და იმის აქ შემოსვლას არ ჩამამწარებ.

**დედ.** ვნახოთ, ვნახოთ.

**ხალ.** სალომე მეთქი! ისინი მოვლენ და თუ შენს სახეზე უსიამოვნების თუნდ ერთი ნაოჭი დავინახე, იცოდე ცუდად წავა საქმე.

**მალ** (აღელვებული) ახირებულია მე და ჩემმა ღმერთმა. თუ კი დიასახლისს არა სურს!...

**ხალ.** მაშინ მამასახლისი ასურვებინებს და საქმეც ამით გათავდება.

**მალ.** ჰოო?

**ხალ** სწორედ. იცი რა მალხაზ! ეს მესამეჯერ ერევი ჩემს ოჯახურ საქმეში და არ ვიცი, ღმერთმანი, რა ვიფიქრო. (ჩიბუხს მოუკიდებს) ჰმ! არა მსურს რომელია! ერთი მითხარით, თუ ხათრი გაქვთ, რა ფასი აქვს უხალხოდ, უმეზობლოდ ცხოვრებას, რა ფასი აქვს მეთქი, გეკითხებით?

**დედ.** ეხლა კი ვიცი საიდანაც უბერავს ქარი. შემოგიჩინეს განა მექორეთა ხროვა? ადრე დაუწყვიათ. იარე იმათთან, ხშირად იარე. მე ეს ვიცოდი და თუ გახსოვს, იმ თავითვე გაფრთხილებდი მაგრამ ყოფილიყავი. იმათ ეს ოჯახი კაი ხანია ნიშანში აქვთ ამოღებული. რაკი იმათებრ დანგრეულ ქოხმახებში არა ვცხოვრობ და ტანთ მწვირიანი კაბა არ მაცვია, ცუდი ქალი ვარ. ნუ დაივიწყებ, რომ გიორგისაც მაგათ მოაკვლევინეს თავი.

**ხალ.** რათ მოიკლა გიორგიმ თავი?

**დედ.** მე რა ვიცი რათ მოიკლა? სულელი იყო და იმიტომ. რა გინდა ჩემგან? რას ჩამცივებიხარ? შენ გინდა შენს ნებაზე ვიცუნცრუკო, მაგრამ ტყუილი იმედებია. თუ წყნარად იქნები — ხომ კარგი, როგორც იქნება, შევურიგდები ბედს, თუ არა და — ჰაიდა! ღმერთმა როგორიც გამაჩინა, იგეთი ვარ. ეხლა ვერავისთვის გამოვიცვლები.

**ხალ.** ეხლა მეუბნები მაგას? ერთხელ გითხარი და ეხლაც გეუბნები, რომ შენს იქით გზა არა მაქვს. შენით ავშენდი და თუ დავიქცევი შენით დავიქცევი.

**დედ.** (შედის სახლში გაჯავრებული და კარებს მიაჯახუნებს)

**ხალ.** ემანდ წყნარად, თორემ, მე ვიცი შენი! (ჩიბუხი)

**დედ.** (სახლში სანთელს ანთებს)

**მალ.** (აღელვებული ერთს გაივლ-გამოივლის, უეცრივ გაჩერდება ხალამპრეს წინ თვალების ბრიალით) მოყვარევ! უნდა მოგელაპარაკო.

**ხალ.** ბძანე!

**მალ.** გუშინ სოფელში ცუდათ გიხსენებივარ, ისიც ჩემიანების თანა-დასწრებით, თუ ეს მართალია...

**ხალ.** რას მიზამდი?

**მალ.** ეს რა პასუხია?

**ხალ.** თუ ცუდად გახსენე, მე შენ გითხრა, ტყუილი მითქვამს.

**მალ.** მოყვარევ, თუ ხუმრობ, დროზე მითხარი, თორემ გავთავდი კაცი.

**ხალ.** ძმობილო! ასე, რომ იქაჩები, გაქვს კი ძალ-ღონე გამოზომილი? ცხოვრებაში შენისთანა ყმაწვილებთანაც მქონია საქმე. თუ მაინც არ დაგიშლია, მოდი რაღა!

**მალ.** არა, ისე ხარ ატეხილი, რომ უმჯობესია მოგშორდე,

**ხალ.** თუ სიმართლის მოსმენა ასე გიძნელდება, რა თქმა უნდა, წასვლა სჯობიან. მაგრამ იცი რა, მალხაზ. რაც მართალია — მართალია. შენი ყოფა-ქცევა მართლაც არ მომწონს. ჩემი აზრით, უსაქმო კაცი ან უნდა ქურდობდეს, ან არშიყობდეს ან სხვა რამ ავკაცობას ჩადიოდეს... გულზე ხელი დაიდე და სთქვი, რა გამიკეთე აი თუნდა დღეს? რა თქმა

უნდა — არაფერი. ეს კი, ჩემი აზრით, დიდი სირცხვილი და თავის მოჭრაა. კაი შეხედულობის ბიჭი ხარ და ღმერთია მოწამე არ მინდა ცუდი რამ მესმოდეს შენზე საცა კი გავდგი ფეხი, ყველგან გაძაგებენ, მაგრამ რა ჩემი საქმეა. საკუთარ ცხოვრებაში როგორიც გინდა იყავ, — ღმერთი და ხალხი იყოს შენი მსაჯული, — ხოლო მე კი ჩამომეხსენი. ჩემთვის საკეთილოს შენის მოყვრობით არასა ვხედავ და სანამ უფრო დიდი მარცხი არ მომხდარა, გავშორდეთ ერთმანეთს. (თვალებში შეაშტერდება) ეარშიყები განა ჩემს ცოლს! (სითხითებს) რა დაგიშლის. მე შენ გითხრა, სილამაზე და ეშხი გაკლია? (ხითხათებს) მაგრამ როდემდის, მალხაზ, ეს ფანდები, როდემდის?

**მალ.** მოყვარევ! დაფიქრდი მაინც რასაც ამბობ.

**ხალ.** მოითმინე, მოითმინე, შენ გენაცვალე. სხვისი ოჯახის გაპარტახება შენთვის შეიძლება უბრალო დროს გატარება იყოს, მე კი საკუთარი კერის გაჩენას ოც და ათი წელიწადი ველოდებოდი და ვინც იმას დამინგრევს, არც მე დავაყრი ხეირს. შეიბრალე ჩემი ქალარა და ამ სიბერის ხანს ცოდვას ნუ ამკიდებ. მე ჩემი მითქვამს და ეხლა შენ იცი და შენმა კაცობამ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



# მომღერალ გუნდთა მოგზაურობა ქართლში

ქართლში ივლისში მოგზაურობდა ორი ქართული მომღერალთა გუნდი: ერთი დასავლეთ საქართველოსი, 25 კაცით ბ. ძ. ლოლუას ლოტბარობით, და მეორე აღმოსავლეთ საქართველოსი 30 კაცით, ბ. მიხეილ კავსაძის ლოტბარობით. 17 და 18 ივლისს ქ. ხაშურსაც ეწვივნენ ხსენებული გუნდნი და ჯაფარაშვილის სათეატრო შენობაში ორი კონცერტი დადგეს, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო.

კარგა ხანია, რაც ჩვენს დაბას და, საზოგადოდ, ზემო ქართლს, თუ რომ მხედველობაში არ მივიღებთ ქ. გორს, არა სწვევიან ასეთი დახელოვნებული მომღერალთა სახალხო გუნდნი და აი ეს შემთხვევა იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართლის მიყრუებულ ცხოვრებაში და, არა მგონია, ისეთის აღტაცებით შეჰგებებოდეს სადმე საზოგადოება ხსენებულ მომღერალთ, როგორც აქ.

ბ. ძ. ლოლუას გუნდი, რომელსაც დასავლეთ საქართველო მოუვლია და შესაფერი ყურადღებაც დაუმსახურებია იქ, შესდგება დახელოვნებულ — ახალგაზრდა მომღერალთაგან; პროგრამაში შედის უმეტესად გურულ-მეგრულ-აფხაზური ხალხური სიმღერები, რაც სასურველ და სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს მსმენელზე და იმდენად გიტაცებთ მომღერალთა მკვირცხლი მდაბიო და სადად გადმოცემული ხმები, რომ ესთეტიურ სიამოვნებას მოკლებულს პროვინციელს პირდაპირ გააფრთოვანებთ, დიდხანს არ გინდათ ყური მოაშოროთ და გსურთ დიდხანს, მეტად დიდხანს დასტკბეთ ამ სადა კონცერტის შინაარსით. თვით ლოტბარიც ბ. ლოლუა და მთელი გუნდი მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე და, როგორც სჩანს, ბ. ლოლუას სიყვარულიც უნდა ჰქონდეს დამსახურებული მთელი მომღერლებისა.

ბ. მიხეილ კავსაძის კონცერტი შესდგა 18 ივლისს და თუმცა ზოგიერთებს ეგონათ, ამ მეორე კონცერტს ხალხი არ დაესწრებაო, მაგრამ მოსტყუვდნენ და, ლოლუას კონცერტის შედარებით, კავსაძისას ორჯერ მეტი საზოგადოება დაესწრო: სათეატრო დარბაზში ხალხს ტევა აღარ იყო და ყველა მოუთმენლად მოელოდა ფარდის ახდას და აღმოსავლეთ საქართველოს მომღერალ გუნდის სიმღერების მოსმენას. საზოგადოების მოლოდინიც გამართლდა: ბ. კავსაძემ მშვენივრად და დაკვირვებით შეასრულა პროგრამა, რომელშიც შედიოდა ქართლ-კახური სიმღერები და რამდენიმე თვით ბ. კავსაძის მიერ გადაკეთებული იმერული სიმღერები.

ეს ორი გუნდი, თითქმის ერთსა და იმავე დროს ეწვია ქართლს; და ასრე გეგონებოდათ ურთი-ერთს ეჯიბრებიანო, რადგან ზოგიერთა მაყურებელიც სწორედ ასრე ჰფიქრობდა, იმ მი-

ზნით მიდიოდა კოცერტებზე, რომ ერთმანეთისთვის შეედარებინა ორი-მეზობელი კუთხის მომღერალნი და თავისი დასკვნა გამოეტანა. მსმენელისთვის რომ გეკითხათ: რომელი მათგანი სჯობდათ, გადაჭრილ პასუხს ვერ მიიღებდით, რადგან ორივემ ერთი-ერთმანეთზე უკეთესი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. ამ ორმა კონცერტმა ჩვენ ;საზოგადოებას შეძლება მისცა: ორი სხვა და სხვა შინაარსის და კუთხის ჰანგები მოესმინა და სახლში უადრესად ნასიამოვნები დაბრუნებულიყო. რა თქმა უნდა, ოპერას და გამოჩენილ მომღერალთა კონცერტებს მიჩვეულ ინტელიგენციას-კი არ მოეწონებოდა ხსენებული, მდაბიო ხალხის გულიდან ამონახეთქი სიმღერები, მაგრამ სამაგიეროდ თვით ამ სიმღერების შემქმნელს—მდაბიო ხალხს ძლიერ მოეწონ ბ. ღოღუა—კავსაძის კონცერტები და მხოლოდ ეს მდაბიო ხალხია შემფასებელიც და მსმენელიც.

დიდი მადლობის ღირსნი არიან როგორც ბ. ბ. ძ. ღოღუა და მ. კავსაძე, აგრეთვე მთელი მომღერალთა გუნდნი, რომელთაც არ დაუზოგნიათ შრომა და მთელ საქართველოში მოგზაურობა განუზრახავთ. ორივე პატივცემულ ლოტბართა მიზანს შეადგენს გააცნოს საქართველოს დაბა-სოფლების მცხოვრებნი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერებს, რაც მეტად მოსაწონია და სასარგებლოც.

**ნიკო გურული**

# წვრილი ამბები

## სამშობლოში

✦ **ქუთაისის თეატრის** სცენა გადააკეთეს, დეკორაციებს ნოვაკი ჰხატავს.

✦ **ვლ. ალ.-მესხიშვილი** ქუთაისში მიიწვიეს.

✦ **ქუთაისის დასი** მუშაობას შეუდგება 20 აგვისტოდან. პირველი წარმოდგენა განზრახულია 6 ენკენისთვისთვის.

✦ **ქართულ თეატრთან** დაარსებულ სტუდიაში უკვე ეწერებიან მსურველნი.

✦ **ვალ. შალიკაშვილი** ქუთაისს დაბრუნდა და ზამთრის სეზონის თადარიგს შეუდგა.

✦ **ვანო ბარველი**, ჭიათურის დასის რეჟისორი, უკვე ჩავიდა ჭიათურას და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა. განზრახულია სასცენო დარბაზის შეკეთება.

✦ **სიღნაღის კლუბში მოძრავი დასი** ნ. გვარაძის რეჟისორობით და ი. ქიქიძის გამგეობით ყოველ-კვირა ჰმართავს წარმოდგენებსა და სალიტერატურო საღამოებს. დასში მონაწილეობენ: ქ-ნი ა. კავთელი, ვ. მარგველაშვილი; ბ-ნი: ვ. ალუღიშვილი, ნ. გვარაძე, ი. დარუაშვილი, ი. თარალაშვილი, გ. იორდანიშვილი, ი. მოსაშვილი, რ. ნასიძე, ი. ქიქიძე, ნ. ჩაგუნავა, გ. ხატისკაცი და სხ.

✦ **დაბა ცხინვალში ახლად შემდგარმა დასმა** 26 მკათათვეს გამართა წარმოდგენა, მაგრამ დამსწრეთ ვერაფერი გაიგეს წარმოდგენისა, რადგან არც პროგრამები ჰქონდათ, არც აფიშები, არც მომზადებულიყვნენ (ხერხეულიძისა და ერთი სხვის გარდა) და წარმოდგენის მსვლელობას ხელს უშლიდა კლუბთსანთა შექცევა (სცენა კლუბშია) და ახალგაზდობის ქვილხივილი. (დამსწრე).

## რუსეთში

✦ **ომიანობის გამო** თითქმის ყველა თეატრიდან გაიწვიეს მსახიობნი, მომღერალნი ანუ თეატრის გამგე-მეთაურნი, რის გამოც ბევრ ადგილს შეკრული პირობანი ირღვევა.

✦ **ჭიდაობის დროს** სარატოვს ნიკიტინის ცირკში ერთმა მოჭიდავემ ვახტუროვმა (უგულოდ ჭიდაობდა) ჭიდაობას უცებ თავი გაანება და კულისებში მიიმალა.

— რად გავიდა ვახტუროვი?... გამოიყვანეთ... დაიწყეს ყვირილი ვახტუროვი გამოვიდა:

— მე სათადარიგო ჯარის კაცი ვარ,—გადასძახა ხალხს ვახტუროვმა: ახლა მე თავში ჭიდაობა კი არ მიტრიალებს, არამედ ომი. გარდა ამისა, ჩემი მოპირდაპირე ავსტრიელია და... ჩემის თავის იმედი არა მაქვს: რა ვიცი რა მომიხდეს.

სთქვა, მიბრუნდა და აცრემლდა.

მაყურებელთა შორისაც ბევრს მოადგა თვალზე ცრემლი.

✦ **საბალეტო ხელოვნების** სკოლას ხსნიან 1 ენკენისთვიდან პეტერბურგში. სკოლის მიზანია, საბალეტო მსახიობთა გარდა, მოამზადოს მცოდნე მასწავლებელნი და ბალეტმეისტერები კერძო სცენებისა და სასწავლებელთათვის. დიდი ყურადღება ექნება მიქცეული სტილის, რიტმიკის, ქორეოგრაფიის, კომპოზიციის, ცეკვისა და სხ. ისტორიას.

## უცხოთა შორის

✦ **სერბიელთა ეროვნული თეატრი** ბელგრადში ავსტრიელებმა ყუმბარებით დაანგრიეს.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**



(წ.—22)

ექ. ვახტანგ ლამბაშიძის

**სანატორიუმი**

**პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე**

**ქალ-ვაჟთათვის 8—5 წლამდე**

დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი **ექ. ვ. ლამბაშიძე**

ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)



# აღსასრული ადამიანის ტანჯვისა

## ჰონორეია (სუსუნატი)

4 წ. გავიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი **„რაპიდი“** გასასყიდად გამოვიდა სამკურნალო, საბჭოს ნებართვით **№ 1295**, სუსუნატის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი“-ს პრეპარატით ათასობით ავადმყოფი სრულიად განიკურნა, რომელთაგანაც სამადლობელი წერილები მაქვს. წამლობის ასეთი ნაყოფი უფლებას მაძლევს, პრეპარატი „რაპიდ“-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მომქმედი საშუალება ამ სნეულებისა, ვურჩიო ყველას.

უკანასკნელ წლის დაკვირვებამ კვლავ დაამტკიცა, რომ **„რაპიდ“-ის პრეპარატით წამლობის შემდეგ სუსუნატი რომ არ მორჩენილიყოს, ამისთანა შემთხვევა არ არის;** ამისათვის გადაჭრით ვაცხადებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ავადმყოფობა, ჩემი გამოგონილ საშუალებით სამ კვირაში წამლობა საკმარისია სუსუნატის მოსარჩენად, **და „რაპიდ“-ის შეწყნობით სრულიად მორჩენილად უნდა ჩაითვალოს.**

მართალია, უკანასკნელ წლებში სუსუნატის (გონორეი) წინააღმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელნიც ჩქარა და არსებით განკურნებას ჰპირდებოდნენ და ავადმყოფთ, შესაძლოა, გულიც გაუტყდათ ამ წამლობის უნაყოფობით და სამართლიანად შეუძლიანთ ეჭვის თვალით შეჰხედონ ჩემს წამალსაც,—ამ შემთხვევაში მათს ყურადღებას იმ გარემოებაზე მივაქცევ, რომ ჩემი რწმენა „რაპიდ“-ის უებრობაში და ჩემი დაპირება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, იმის დასამტკიცებლად ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატ **„რაპიდ-“ის** ორს ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კურსი) დაიბარებს, წამალთან ერთად ეგზავნება ჩემგან ხელწერილი., რომ უკეთუ არ მოარჩინოს, ფულს უკანავე დავუბრუნებ.

**ნიმუში ჩემის ხელწერილისა:**

„მე, ამისა ქვემორე ხელისა მომწერელი. ამ ხელწერილს ვაძლევ ბატონს (ამასა და ამას) იმაში, რომ მივყიდე რა მას ჩემი „რაპიდ“-ის ორი ფლაკონი, სუსუნატის წინააღმდეგ, თავდები ვარ, რომ 20 დღის წამლობის შემდეგ ეს სნეულება სრულებით გაჰქრება. თუ აღნიშნულ ვადაზე რომელიმე ლაბორატორიაში შარდის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, მაშინ ვალდებული ვარ რვა მანეთი დავუბრუნო“ (ხელ. მოწერა.)

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრ განკურნებულ ავადმყოფებისაგან სამადლობელი წერილები მაქვს, გადავწყვიტე ჩემს განცხადებებში მოვათავსო ხოლმე ახალი მადლობის წერილები. ამ წერილების დედანი (აუარებელი) ჩემთან ინახება და ყოველს მსურველს შეუძლიან მათი ნახვა. წერილების სინამდვილეში თავდები ვარ. თუ რომელიმე მათგანი დედანს არ ეთანახმება, **ვალდებული ვარ, გადავიხადო 1000 მანეთი რომელიმე საზოგადოების სასარგებლოდ.**

წერილი 11. მ. ხ. ბ-ნო დელამაურე! დიდათ გმადლობთ თქვენი სასწაულ მომქმედ „რაპიდისთვის“. განვიკურნე. ვურჩევ ჩემს ნაცნობებს მოგმართონ თქვენ. პატივისცემით ვ. მ. გ. ქ. როვნო.

წერილი 12. მ. ხ. ბ. დელამურე! მთელი ათი წელიწადი ვიტანჯებოდი ამ საშინელ სენით. თქვენმა უებარმა საშუალებამ განმკურნა 26 დღეში. ამდენი ხნის ტანჯვის შემდეგ მე არ მწამდა თუ იქნებოდა ისეთი საშუალება, რომელიც შესძლებდა ჩემს განკურნვას. მაგრამ მოვტყუვდი, ყოფილა—ეს არის თქვენი რაპიდი. გიძღვნი გულწრფელ სალამს და დღეგრძელობას ტანჯული ხალხის საკეთილდღეოთ. პ. ლ. ტროიცი. 16 მარ. 1912 წ.

ფასდადებით და გაგზავნით 9 მ. ფასდადებით იგზავნება მხოლოდ 3. მან. გამოგზავნის შემდეგ.

გთხოვთ შეკვეთისა და ცნობებისათვის მიჰმართოთ:

**თბილისში ჩემს წარმომადგენელს კ. აკოპიანს, ლორის-მელიქოვის ქ ,№16, 13,** სახელმწ. ბანკის პირდაპირ, დილის 11—2 ს. და საღ. 5—7 ს. აგრეთვე ისყიდება ძმ. ტერტეროვების აფთიაქში, ნეკრასოვისა და რაზიეზდის ქუჩ. კუთხეში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

პატივისცემით **მ. დელამურე.**

მოსკოვი. ნეგლინის მისამ. № 14—2 სახ. 2.

# ახალი კლუბი

სახაფხ. შენობა ტელეფ. — 7-95

| | |
|---|---|
| დღეს — კვირას 10 აგვისტოს | **საზაფხულო საღამო და სინემატოგრაფი** დასაწყისი ნაშუადღევის 5 ს. / დასაწყისი საღ. 9 ს. |
| ორშაბათს 11 აგვისტოს | **კონცერტი** სიმფონიურ ორკესტრისა **ი. პ. ფალიაშვილის** ხელმძღვანელობით. |
| სამშაბათს 12 აგვისტოს | **საოჯახო საღამო** |
| ოთხშაბათს 13 აგვისტოს | **კონცერტი ი. პ. ფალიაშვილის** ხელმძღვანელობით ✦✦✦✦ ბენეფისი ფ. როსტენისა ✦✦✦✦ |
| ხუთშაბათს 14 აგვისტოს | **ქართული წარმოდგენა.** |
| პარასკევს 15 აგვისტოს | **სინემატოგრაფი ს. ო. ივანიცკისა.** |
| შაბათს 16 აგვისტოს | **კონცერტი ი. პ. ფალიაშვილის** ხელმძღვა- ნელობით. **პ. ტიზენგაუზის საბენეფისოდ** |
| კვირას 17 აგვისტოს | **საზაფხულო საღამო; სინემატოგრაფი.** |

# ხარფუხის საზოგადო კლუბი

29 მაისიდან გადავიდა საზაფხულო სადგომში, მიხაილოვის პროსპექტზე, სინემატოგრა[illegible] „აპოლოს“ გვერდზე, № 131, ინჟინერ ბარტის ბა[illegible] ტელ. [illegible]–79

| | |
|---|---|
| დღეს, კვირას 10 აგვისტოს | **სინემატოგრაფი, მუსიკა, ცეკვ[illegible]** |
| ორშაბათს 11 აგვისტოს | **სინემატოგრაფი.** |
| სამშაბათს 12 აგვისტოს | **სინემატ[illegible]გრაფი, მუსიკა.** |
| ოთხშაბათს 13 აგვისტოს | **საზანდარი.** |
| ხუთშაბათს 14 აგვისტოს | **საზაფხულო საღამო; სინემატოგრაფი; მუსიკა.** |
| პარასკევს 15 აგვისტოს | **საზანდარი; ცეკვა.** |
| შაბათს 16 აგვისტოს | **სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა.** |
| კვირას 17 აგვისტოს | **სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა.** |

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან მამაკაცები — 25 კ., ქალები — 10 კ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

კლუბი ვრცელი და ყოველმხრივ მოწყობილია. ბაღი შეიძლება გაიცეს სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნით გამართულ სეირნობათათვის.

კლუბში გაიმართება ხოლმე **ლექციები, კონცერტები, წარმოდგენები, სამუსიკო, სალიტერატურო** და **ვოკალური საღამოები** და აგრეთვე **სახალხო სეირნობანი.**

სტამბა „სორაპანი“ Типографія „Сорапань“